სამშაბათი, 16 დეკემბერი 1903 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მეშვიდე 1903 სამშაბათი, 16 დეკემბერი 1903 წ.

ტფილისი

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	,, . .	9 ,,	50 ,,
10	,, . .	8 ,,	75 ,,
9	,, . .	8 ,,	— ,,
8	,, . .	7 ,,	25 ,,
7	,, . .	6 ,,	50 ,,
6	,, . .	6 ,,	— ,,
5	,, . .	5 ,,	50 ,,
4	,, . .	4 ,,	75 ,,
3	,, . .	3 ,,	50 ,,
2	,, . .	2 ,,	75 ,,
1	,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 268 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 268

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს — 5 მ. და თიბათვის 1-ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს — 4 მ., მარტის 1-ს — 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.
3. ხელის მოწერის დროს — 3 მ , მარტის 1-ს — 3 მ. თიბათვის 1 ს — 2 მ. და ენკენისთვის 1-ს — 2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა“ („Воскресеніе“),

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უმრე მიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—«ივერიის» რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საჩხერეში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ვერა, მარიამ და თამარ ილიას ასულნი და სოფიო ანდრიას ასული ედილაშვილნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა გარდაცვალებისა პირველის ძმის, ხოლო მეორე—ბიძაშვილისას

ალექსანდრე ილიას ძის ედილაშვილისას

გამოსვენება დღეს, 16 დეკემბერს, დილის 9 საათზედ სადგურიდან, რომელიც ელისაბედის ქუჩაზეა, № 86, წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში.

(1—1)

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების.

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აჰიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე **სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემული

კედლის კალენდარი

1904 წლისა,—ფასი 70 კაპ.

კალენდარი დასურათებულია.—კალენდარში აღნიშნულია ისტორიული მოვლენანი.—კალენდარში დაბეჭდილია ბიოგრაფიები ქართველ და უცხო მწერალთა და მოღვაწეთა, ცნობები საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ, ცნობები მსოფლიო ისტორიიდან და სხვა მრავალი გამოსადეგი ცნობანი.

კალენდარი დიდი ფორმატისაა (როგორც Кавк. Кал.)

საქართველოს კალენდარი

გამოვა საშობაოდ. (3—2)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

არტისტიულ საზოგადოების თეატრი

სამშაბათს, 16 დეკემბერს 1903 წ.

ქართველ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

I

კინი

დრ. 5 მოქმ. დიუმა მამისა, თარ. ვ. გუნიასი.

II

საუბედურო დებიუტი

ვოდევ. 1 მოქ. თერგ. ბ, ახოსპირელისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელისა, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: ბაქრაძე, ტ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მაჭარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირ-დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აბეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

დღეს, 16 დეკემბერს, საარტისტო საზოგადოების თეატრში ბ-ნ მესხიშვილის მონაწილეობით ქართული დრამატიულ საზოგადოების დასი წარმოდგენას ჰმართავს. წარმოდგენილი იქნება „კინი“ და „საუბედურო დებიუტი“. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი და ალავერდის ეპისკოპოსი ევთიმე 20 დეკემბერს ჩამოვლენ ტფილისში.

ბელგიის უსახელო საზოგადოებას ტფილისში თავის საჭიროებისათვის ადგილის შეძენა შეუძლია მხოლოდ ქალაქის სახელობაზედ. ბელგიის უსახელო საზოგადოებას საელექტრონო სადგურისათვის ადგილი უყიდია და ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა, გამოგზავნე შენი წარმომადგენელი, რომ ნასყიდობის ქაღალდი შევკრათო.

ქალაქის გამგეობამ წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას შეუკვეთა პატარა წიგნაკების დაბეჭდვა. სულ 3.345 მ. 30 კ. ეს წიგნაკები ქალაქის გამგეობამ აღარ მიიღო. წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა ახლა თურმე საჩივრის აღძვრას აპირობს ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ.

ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის სადგომის აგება უკვე დაამთავრეს. ახლა მხოლოდ ეზოს ასუფთავებენ. ეს სადგომი სოლოლაკშია. ამ დღეებში გაანათებენ ამ სადგომს და ცეცხლის მქრობელი რაზმიც გადავა.

ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, როგორც ვიცით, ტფილისში საჰიდრავლიკო სადგური მოაწყოს. ქალაქის გამგეობამ ბელგიის უსახელო საზოგადოებას წინადადება მისცა, შენ ააშენე საჰიდრავლიკო სადგურიო. ამასთანავე გამგეობამ სხვა-და-სხვა პირობები დაუდო საზოგადოებას. ბელგიის უსახელო საზოგადოება ქალაქის გამგეობის მიერ პირობებს არ დათანხმდა და მთელი საქმე ჩაიშალა. ახლა ხმოსანმა კირაკოზოვმა შეიტანა განცხადება ტფილისის ქალაქის გამგეობაში, ხელ-ახლა მიეცით წინადადება ბელგიის უსახელო საზოგადოებას საჰიდრავლიკო სადგურის აშენების შესახებაო. ზოგი თქვენ დაუთმეთ ზოგიც მან და ეს დიდ-მნიშვნელოვანი საქმე მოაწყეთო. ამ განცხადებას ქალაქის გამგეობა ჩქარა განიხილავს.

13 დეკემბერს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო მთავარ-მართებლისაგან 5,000 მანეთი. ეს ფული გადაეცემა იმ კომიტეტს, რომელსაც მიწად-მოქმედებისა და ფინანსთა სამინისტროსაგან დაევალა სანლუის საერთაშორისო გამოფენაზე კავკასიის განყოფილების მოწყობა.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანმა ე. იოსელიანმა განჯის გუბერნიაში უკვე შეჰკრიბა კოლექციები: პურისა, ბრინჯისა, მატყლისა და სხვ.

ამ დღეებში მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველმა კომისიამ განიხილა მოხსენება ექიმის მ. ა. გედევანიშვილისა ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის ახალ სადგომის აგების შესახებ. ექ. გედევანიშვილის ანგარიშით, 100 საწოლის გასამართავად საჭირო ქმნება 60,000 მანეთი. თავშესაფარი უნდა აშენდეს კარგს ადგილზე, ქალაქ გარედ. ამ საქმისათვის ქ-ნმა მაღერმა ამას წინად შესწირა 10,000 მანეთი. ქ-ნმა შამხაროვმა განცხადება შეიტანა, რომ სიკვდილის შემდეგ ქალაქს დავუტოვებ 40,000 მანეთს თავშესაფარის ასაგებადაო. კომისიამ შესაძლოდ სცნო შეუდგეს სახლის აგებას და დაადგინა, ვიდრე არსებითად შეუდგებოდეს ამ საკითხის განხილვას, სთხოას ქალაქის საბჭოს 1500 მანეთი ევროპისა და რუსეთის დიდ ქალაქებში მოწყობილ თავშესაფარების შესასწავლად და დასათვალიერებლად. თავშესაფარების დათვალიერება უნდა მიენდოს ექიმს გედევანიშვილს.

იანვარში მიწად-მოქმედების სამინისტროსთან განსაკუთრებული კომისია ხელ-ახლა შეუდგება ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ღონისძიებათა საკითხს. ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად კავკასიიდან პეტერბურგს მიდის [illegible] ა. სტაროსელსკი.

ვენის საიმპერო დასი, რომელმაც შვიდი საგასტროლო წარმოდგენა გამართა ქართულს თეატრში, ახლა ბაქოსკენ მიემგზავრება. ტფილისში წარმოდგენებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

დღეს, 16 დეკემბერს, ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი ტფილისიდან პეტერბურგში მიდის.

ტფილისის კადეტთა კორპუსის სამზრუნველო საბჭოს კარგა ხანია აზრად აქვს შენობა აგოს ამ კორპუსისათვის. აქამომდე შესაფერი ადგილი ვერ ეშოვნა. მხოლოდ ეხლა შეიძინა 10 დესეტინა ადგილი 217.000 მანეთად და მომავალ წლიდან შენობის მასალის შეგროვებას შეუდგება.

როგორც მკითხველთ ვაუწყებდით, ტფილისის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს დიდუბის ქუჩა გაიყვანოს მუშთაიდზე. ამ საქმეს 27.400 მანეთი მოუნდება.

მშობიარე ქალთათვის თავშესაფარის აგება განიზრახა ტფილისის ქალაქის გამგეობამ. შენობის აგების პროექტი უკვე შედგენილია. პროექტს განიხილავენ ხმოსანი—ექიმები და შემდეგ წარედგინება ეს პროექტი ქალაქის საბჭოს განსახილველად.

უკვე დამთავრდა ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის შენობის აგება. შენობას აკურთხებენ 1904 წლის იანვრის შუა რიცხვებში.

ტფილისის ქალაქის თავმა დაავალა ქალაქის იურისკონსულტს, საჩივარი აღძარი ბ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგ, რომელმაც დიდუბეში ქალაქის მიწა მიითვისაო.

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ გამგეობას განუზრახავს გააფართოვოს ამხანაგობის ქარხანა და საწყობი. გამგეობა ამ აზრით მიხეილის ქუჩაზედ ქირაობს შენობას.

გუშინ, 15 დეკემბერს, სოხუმში უნდა დაწყობილიყო სოხუმის ქალაქის მოურავის არჩევანი.

ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ შუაკაცს თავ. გუგუნავას თანამდებობისათვის თავი დაუნებებია.

⁂ ტფილისის ქალაქის ვერის მეორე სკოლის შენობა შეაკეთეს, ტფილისის საბჭოს მასწავლებელთა გამგე კომისიის წინადადებით. კომისიამ განიხილა მოხსენება ხუროთ-მოძღვრისა, რომლის აზრითაც შენობა უხეიროდ არის შეკეთებული და საჭიროა ხელ-ახლა შეკეთება. კომისიამ დაადგინა შეეკითხოს ქალაქის გამგეობას, რა მიზეზია, რომ აქამდე შენობა რიგიანად ვერ იქმნა მოწყობილიო.

⁂ ჩვენ გვაცნობეს პეტერბურგიდან, რომ ინჟენერ ვურცელს გზათა სამინისტრომ მიანდო გამოიკვლიოს ტეხნიკურად რკინის გზის მიმართულება ტფილისიდან კავკავამდე პირდაპირ კავკასიის მთა-გრეხილზედ გასაყვანადაო.

⁂ 18 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე იმ ყაჩაღებისა, რომელნიც წარსულ წლის გაზაფხულს მარტყოფის მონასტერს დაეცნენ და სხვა ეკლესიები გაძარცვეს. ბრალი ედება 8 კაცს, მოწმედ 145 კაცია დაბარებული, მათ შორის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი, მისი თანა'შემწე გუგუშვილი, იგუმენი გერასიმე, ოცდახუთამდე ბერი სხვა და სხვა მონასტრებისა, ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალიოვი და სხვა.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს წაბრძანება შიო-მღვიმის მონასტერში.

როგორც «ივერიამ» აუწყა მკითხველთ, 30 ნოემბერს ყოვლად-სამღვდელო გურია სამეგრელოს ეპისკოპოზი ალექსანდრე გამოეთხოვა თავისს საყვარელს სამწყსოს. პატივისმცემლებმა მცხოვანს მღვდელ-მთავარს გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს, სადილზედ მრავალ. მგრძნობიერი სიტყვები წარმოითქვა. იმავ ღამეს, როდესაც უნდა გამომგზავრებულიყო მათი მეუფება, ფოთის რკინის გზის სადგურზედ დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო; ყველას სურდა უკანასკნელად კიდევ ეხილნა თვისი ძვირფასი მღვდელ-მთავარი და ლოცვა-კურთხევა მიეღო მისგან. ყოვლად სამღვდელომ დალოცა ყველანი და გულდაწყვეტილი გამოეთხოვა სამწყსოს. ღამის თორმეტ საათზედ დაიძრა მატარებელი მოაშორა უძვირფასესი მეუფე ფოთს და დასტოვა გულ დათუთქული საზოგადოება.

სადგურ სამტრედიაში მათ მეუფებას შეეგება იმერეთის ეპისკოპოზი ლეონიდი და აქედამ ერთად განაგრძეს მგზავრობა აღმოსავლეთ-საქართველოსკენ. გორის რკინის გზის სადგურზედ მიეგებნენ მათ მეუფებას გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე მ. პირონი და გორის სამღვდელოება.

შიო-მღვიმელის „პლატფორმაზე“ ყოვლად-სამღვდელოს შეეგებნენ უდაბნოს მამები და აქედამ იგი წაბრძანდა ურმით. შუა დღის ორ საათზედ მიბრძანდა უდაბნოში, ეკკლესიის კარებთან მათ მეუფებას მიეგებნენ მამანი ჯვრითა და წმ. აიაზმით. შებრძანდა ეკკლესიაში და დიდს მამა შიოს პარაკლისი გადაიხადა.

პარაკლისის შემდეგ ჯვარი გადასახა მამებს და მოკლე, მაგრამ მგრძნობიერი სიტყვით მიჰმართა.

აი დასახლოვებით რა ბრძანა მღვდელ-მთავარმა:

«მე განგებამან ღვთისამან მარგუნა ეს უდაბნო და შეწევნითა ღვთისათა და ღირსისა მამისა შიოსითა შევუდგე მე ამ უდაბნოს გამშვენიერებას. მახსოვს მე ის დრო, როცა ამ უდაბნოში ერთი ბერისა და მორჩილის მეტი არავინ იყო და არც შესაძლებელი იყო, რომ მეტი ყოფილიყო, რადგან საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდათ და, მადლობა ღმერთს, დღეს იმას მოვესწარ, რასაც თქვენ თვითონ ჰხედავთ: მე მსურდა მღირსებოდა აი აქ ცხოვრება და ღმერთმაც ასე ინება. ის კაცი შესაბრალისია, ვინც სახლს აშენებს და შიგ დაბინავებას ვერ მოასწრობს. მე ბედნიერად ვსთვლი ჩემ თავს პირველად იმტომ, რომ ასე თუ ისე მოვაგვარე ამ წმინდა მამის საფლავი, მეორედ მით, რომ თქვენა გხედავთ ჩემთან და, მესამედ ვეღირსები, ჩემი უკანასკნელი დღენი ამ წმიდა უდაბნოს ზღუდეში განვლიო». შემდეგ აკურთხა ყველანი და გაემართა თავისს საცხოვრებელ სენაკში.

ვ. ს.

ჩვენებური ამბები

ქ. ქუთაისი. თავად-აზნაურთა კრებამ აირჩია: ქუთაისის მაზრის წინამძღოლის კანდიდატებად თ. დ. ო. ნიჟარაძე და თ. დ. კ. მიქელაძე, წინამძღოლის თანაშემწედ თ. ნ. კ. ნიჟარაძე.

ოზურგეთის მაზრაში წინამძღოლის კანდიდატებად თ. კ. დ. ერისთავი და თ. ვ. დ. გურიელი, თანაშემწის კანდიდატებად: იოს. ხოს. გოგიტიძე, თ. იეს. მიხ. ნაკაშიძე და ნ. ს. თაყაიშვილი. დეპუტატებად: სილ. ხუნდაძე და თ. ტელ. გურიელი.

რაჭის მაზრის წინამძღოლის კანდიდატებად: თ. დ. ა. ყიფიანი და თ. ი. მ. წულუკიძე.

ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლის კანდიდატებად: თ. იას. დ. გელოვანი და თ. ყ. ო. გარდაბხაძე.

გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზედ კენჭი ჩამოუტარეს ქუთაისის და შორაპნის მაზრის წინამძღოლებს თ. დ. ო. ნიჟარაძეს და თ. ს. დ. წერეთელს. ორთავე აირჩიეს.

—

ქუთაისი. თუმცა ეგონათ, რომ ქუთაისის თეატრის ელექტრონით განათებას იგივე ბედი ეწეოდა, როგორიც წყლის მილით გამოყვანას, მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ვეღირსეთ თეატრის ელექტრონით განათებასაც. თეატრის გამგე კომისიამ დაამთავრა საქმე და კვირას, 14 დეკემბერს, პირველად განათდება თეატრი. ამ ღამეს იქნება გასინჯვა, თუ რამდენად საკმარისი იქმნება თეატრისათვის გამოყვანილი ლადიძის ქარხნიდან ელექტრონის ძალა. კომისიამ არ დაივიწყა სცენისათვის ფერადის ლამპრების დადგმაც, ასე რომ ჩვენ სცენაზედ დღეიდან სამფერი (თეთრი, წითელი და მწვანე) სინათლე გვექნება.

ეხლა საქმე იმაზედ მიდგა, რომ, ვისიც ჯერ არს (კომისიამ მართებლობის მხრივ) უნდა შეამოწმოს და მოიწონოს ყოველივე მოწყობილება. იმედია, რომ კომისია არ დააგვიანებს შემოწმებას.

ივ. პურადაშვილი.

—

ს. ზემო-მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა). ს. ზემო მაჩხაანში ცხოვრებს 684 კომლი, მამათა სქესი 2071 სულია და დედათა 1795, ხოლო სულ 3866 სულია. სოფელში შეძლე ხალხი საკმაოა. სოფელი ხვნა-თესვას დ საქონლის მოშენებას მისდევს. ბევრსა ჰყავს ცხვრის ფარები, მოცადი საქონელი და ცხენის ჯოგიც.

საზოგადოდ ქიზიყელებს ძიელ ხელს უწყობდა ხვნა-თესვაში და საქონლის მოშენებაში შირაქის თვალ გადუწვდენელი და ნაყოფიერი მინდვრები.

დრო და ჟამი იცვალა. შირაქსაც დაეპატრონენ სხვა-და-სხვა ჯურის და რჯულის ხალხნი. შირაქი ნაწილ-ნაწილ გაიცა იჯარით, ზოგი აიღეს თუშ-ფშაველებმა, ზოგი ძმათა ოთაროვებმა და ზოგიც ახლად გადმოსახლებულმა რუსებმა. ამის გამო ძრიელ შევიწროვდა ადგილ-მამული მთელ ქიზიყში. ჯერ ეხლავე შეამცირეს საქონელი და ამას იქით მოსალოდნელია, უფრო შეამცირონ ეს ერთად ერთი დარგი ხალხის ცხოვრებისა.

სწავლა-განათლებით უკიდურეს მდგომარეობაშია ეს სოფელი, ქვეყანაზე რომ მკითხავი (მარჩიელი) გასწყდეს და წამლადაც არ იპოვებოდეს, აქ მთელი „ლეგიონია“. ქიზიყში ისეთი კომლი არ მოიპოვება, რომ წელიწადში ორი მანათი მაინც არ დახარჯოს მკითხავებზე, სწავლა-განათლებაზე-კი გროშს ვერ ამოაღებინებ ჯიბიდან.

ღვთისმშობლობა რამდენჯერმე მოდის წელიწადში, სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და სხვა სახელწოდებით, მაგ. ღვთისმშობლის შობა, ტაძრად მიყვანება, მიძინება და სხვა. სამღვდელოება-კი არა ცდილობს ხალხის დარიგებას, განათლებას და ცრუ-მორწმუნოების აღმოფხვრას, მაგრამ ვერ გავამტყუნებთ: დრო ნებას არ აძლევთ.

გიორგობისთვის 21-ს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული იყო ზემო მაჩხაანს. ეკკლესიის ეზოში სიღნაღელ ვაჭარ-ხელოსნებს გაემართათ სავაჭრო „ბაზარი“: ყველაფერს ნახამდა კაცი— დამპალ ხილეულს დაობებულ ინდის ხურმას და მატლისაგან დაფქულ კონფექებს. მოზვავებული ხალხი სულ ამ ხილეულობას და კაცის ბეჭდებს ეხვეოდა.

გზის პირას გაველ და მეც ხალხში გავერიე. გლეხ-კაცობა ლაპარაკობდა ვენახების წამლობის შესახებ. ერთი სიტყვით, რაც უნდა მოგვივიდეს, უნდა ვუწამლოთ ი ორიოდე ვაზი ძირსაო. ამ ლაპარაკის დროს ერთმა მოხდენილმა ყმაწვილმა კაცმა გამოიარა და შეეკითხა ერთ იქ მდგომარეთაგანს: ,,გიგო, მგელი არ გინახავს, მგელიო?—,,ეხლა აქ იდგაო‘‘. უპასუხეს შეეფიქრიანდი მგლის ხსენებაზე. მეორემ მიაძახა: აგე ტიმო, აგე სად არიო. მამასახლისო, არიქა სადილი.

დღეობა კარგი სცოდნიათ, ლხინი-კი ღმერთმა შეინახოს, სადღაა ჩვენებური ძველებური, დარბაისლური ორპირული სიმღერები. ეხლა იმის ადგილი დაუჭერია ,,სულიმჯან-გულიმჯანს‘‘, ,,აქ მიყურე-მიყურეს‘‘.

ქართველი

ნანახი და გაგონილი

კარგია მოგზაურობა.. ბევრნაირად უკვირდება კაცი და სტკბება, როდესაც ხედავს თვალწინ სულ ახალ-ახალ სურათს. ამ სიამოვნებასთან ერთად ბევრჯერ მწუხარებასაც მიიღებს კაცი, როდესაც უცქერს ძველ ნანგრევს ციხე-გალავნებს და მონასტრებს, მამა-პაპათაგან აშენებულებს, რომლებიც ოდესმე ყვაოდნენ და დღეს-კი უპატრონოდ დატოვებულნი მწუხარედ გადმოიყურებიან და თითქოს მოწყენით ითხოვენ შველას და განახლებას.

რკინის გზის ვაგონში ბევრს სხვა-და-სხვა ხალხსაც გაიცნობთ, ბევრი მათგანი ისე მარილ-წყლიანად გელაპარაკებათ, რომ სულ დაგავიწყებთ ყოველსავე მწუხარებას და გინდათ, სულ განაბულმა უგდოთ ყური და სულითა და გულით დასტკბეთ. მაგრამ შეხვდებით ისეთ კაცსაც, რომელიც ისე დაამლაშის, რომ მისი ლაპარაკი სწორედ გულს აგირევთ. პირადად რომ ერთ კაცს შეხვდე, ის არაფერი, მაგრამ საწყენი ის არის, მთელ საზოგადოებაზე და მთელს ერზედ ლაპარაკობს და არწმუნებს კიდეც, რომ მისი ნათქვამი მართალია.

აი გადმოგცემთ იმ ნალაპარაკევს, რომელიც ჩემს მგზავრობაში გავიგონე: ვაგონში ერთად ვისხედით მე, ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი, ტომით გერმანელი, ერთი რუსი და ერთიც ქართველი «ჩინოსანი» თავის პატარა ექვსი წლის ვაჟით. ბევრი რამე თქვა და სხვათა შორის ამ ჩინოსანმა მასწავლებელს უთხრა: «ჩვენ, ქართველებს, არც გვქონია ქართული გრამატიკა და არც ეხლა გვაქვსო, მხოლოდ ეხლა სთარგმნიან რუსულიდგანაო». მასწავლებელმა გაიკვირვა.

— ნუ თუ მართლა არა გაქვთ გრამატიკა?!

ჩინოსანმა დაარწმუნა, რომ არა გვაქვსო.

მერე ჰკითხა მასწავლებელმა:

ვინ სთარგმნისო?

— „ჩვენი მწერლებიო“.

ძალიან მოეწონა მასწავლებელმა; კარგია გრამატიკის შექმნაო. ეს მასწავლებელი როგორც ეტყობოდა, სულ გამოუცდელი იყო, თორემ ნუ თუ არ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გრამატიკა გვქონდა და გვაქვს, მაგრამ გარეული რა გავამტყუნოთ, როდესაც შინაურმა არა იცის-რა.

შემდეგ ამ ჩინოსნის პატარა ბავშმა ჯიბიდან ამოიღო ხელსახოცი და დაორთქლილ ფანჯრის მინას წმენდა დაუწყო. მამამ უთხრა:

«შვილო! გაგიჭუჭყიანდება «პლატოკიო».

მასწავლებელმა ყური მოჰკრა სიტყვა «პლატოკს» და გაოცებით უთხრა:

«პლატოკი ხომ რუსულიაო და რატომ თქვენებურად არ ეძახით.

მართალია, რუსულიაო, მაგრამ რადგანაც ჩვენ სხვანაირად არა გვაქვს მაგის სახელი, ჩვენც «პლატოკს» ვეძახითო.

— განა თქვენ-კი არა გაქვთ სხვისა სიტყვა თქვენს ენაში შეტანილიო? მიუგო თამამად ქართველმა.

ჩინოსანმა დაარწმუნა ის მასწავლებელი. ეტყობა, ამ ჩინოსანს მანამ ჩვენში «პლატოკი» შემოვიდოდა, ხელსახოცი არ ჰქონია.

აბა, რა ქნას კაცმა, წადი და ამნაირ ლაპარაკს ყური დაუგდე და დასტკბი!..

ჩადრის-თაველი

რუსეთი

— სოფ. პეტროვკის ერთს გლეხს მაზრის ბოქაულისათვის, როგორც ,,ვოსტოჩნი ვესტნიკი‘‘ გადმოგვცემს, გაუგზავნია შემდეგის შინაარსის თხოვნა: ,,გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გამოაცხადოთ, მე სოფ. პეტროვკაში ვყიდი ყმაწვილს ოცის წლის ცოლსა და მასთან ორს გოჯსა, სულ 25 მანეთად. ქალი ძალიან ლამაზია, კარგი დიასახლისია, ანჩხლი და ბრაზიანი, გოჯები გასუქებულია. თუ ვინმე მოისურვებს, გამოვუგზავნი ამ ფასად‘‘.

ბოქაულმა თურმე იფიქრა, ის კაცი გიჟი თუაო, თორემ ამნაირ თხოვნას რად გამოგზავნიდაო. თვით ნახა და შეიტყო, რომ გლეხს ცოლი მუდამ ეჩხუბებოდა და ლანძღავდა და ამიტომ იძულებული

ფელეტონი

ღალატი

დრამა-ლეგენდა საქართველოს წარსულისა 5 მოქმედებად. თ-დის ა. სუმბათაშვილისა.

წინასიტყვაობა.

რამდენადაც ვიცი, ვითარება და ყოფა-ცხოვრება საქართველოსი, საცა სწარმოებს ჩემის პიესის მოქმედება, იშვიათად ყოფილა წარმოდგენილი რუსულს სცენაზედ, და ისიც ძალიან დიდი ხანია მას აქეთ. ამიტომ საჭიროა ეს განმარტება წავუმძღვაროთ პიესას.

რასაკვირველია, უმთავრესად იმან მაიძულა პიესის სიუჟეტად საქართველოს წარსული ამელო, რომ საზოგადოდ მეტად ცხოველია ის ელფერი, რომელიც აქვს სამხრეთის ქვეყნის ქალსა და კაცს, იქაურ ერის ზნე-ჩვეულებას და წარსულის ამბებს და რომელიც განსაკუთრებულის ძალით ელვარებს ისტორიაში მაშინ,—როცა ერი ყოველის თვისის ძალღონით ცდილობს შეირჩინოს, რაც სამართლიანად მიუჩნევია ყველაზედ უძვირფასესად: თვისი სარწმუნოება და დამოუკიდებლობა. ამას გარდა, მე მგონია, რომ იმ მტკიცე კავშირის წყალობით, რომლითაც საქართველო შეჰკავშირებია ამ უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სულიერს ცხოვრებას, ეგ პატარა ქვეყანა უფრო საინტერესო, უფრო მახლობელი უნდა იყოს რუსეთის საზოგადოებისათვის, ვიდრე ცხოვრება მრავალის სხვა ქვეყნისა და ერისა, სადრამო თხზულების საგნად აღებული და წარმოდგენილი რუსულს სცენაზედ.

მაგრამ ყოველ უამისოდაც, საქართველოს წარსული ღირსია უფრო მეტის ყურადღებისა, ვიდრე რუსეთის ლიტერატურისაგან აქვს მიქცეული. ღირსია მეტის ყურადღებისა იმიტომ, რომ მთელი მისი ისტორია იმ დრომდე, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა საკუთარის მონდომებითა და ნებაყოფლობით, ერთი შეუპოვარი და გამწარებული ბრძოლა იყო პატარა ერისა უძლეველ მაჰმადიანობის წინააღმდეგ ქრისტეანობის კულტურის დასაცველად. ძნელია იმის გადაწყვეტით თქმა, შეგნებით იყო თუ არა, მაგრამ საქართველოს მთელმა ერმა-კი, მეფედამ დაწყებულმა უკანასკნელ გლახ-კაცამდე, აუარებელის სისხლის დათხევით, ცალკე კაცთა და სრულიად ერის ღვაწლმოსილებით, შესძლო და დაიცვა 1200 წლის განმავლობაში ის, რის სიწმინდით დაცვაც ვერ მოახერხა ბევრად უფრო კარგს მდგომარეობაში მყოფმა ერმა და ქვეყანამ.

ყველა, ვისაც-კი შემთხვევა ჰქონია და დაჰკვირვებია, როგორ ეკიდებიან დღეს ქართველნი ებრაელთ, მწვალებელთ და თუნდ იმავე მაჰმადიანთ, რომელთაც სულ ამ ას ხუთის წლის წინად ქვა-ქვაზე აღარ დასტოვეს ტფილისში და თითქმის მკვიდრთა ნახევარი გასწყვიტეს, დაამოწმებს და აღიარებს, რაოდენად შემწყნარებელნი და პატივისმცემელნი არიან ქართველნი სხვათა სარწმუნოებისა და თან რაოდენად მოშორებულნი არიან სარწმუნოებრივს გულგრილობას, ინდიფერენტიზმს.

თავისუფლება ქართველის დედაკაცისა თუ პირადად და თუ ოჯახში და მისი დიდი მნიშვნელობა, როგორც დიდთა, ისე მცირეთა შორის, არა მარტო კერძოსა, არამედ საზოგადო ცხოვრებაშიაც, სწორედ დაუჯერებელი, ძნელად ასახსნელი ამბავია, თუ დავუმხარდამხარებთ ყოველსავე ამას დღევანდელ მაჰმადიანთა დედაკაცის ყოფასა და მნიშვნელობას და გავითვალისწინებთ, რომ საქართველო ათასის წლის განმავლობაში გართხმული იყო ისლამის ფეხქვეშ და საარაკო, გმირულის თავგანწირულობით მხოლოდ იშვიათად, და ისიც არა დიდხანს, დააღწევდა ხოლმე თავს სამოსლემინო მძიმე უღელს. პირადი ადამიანური ღირსება თვითოეულისა, ვინც უნდა ყოფილიყო, დიდებული თუ მცირე, მდიდარი თუ ღარიბი, ღირსება, აშორებული თავ-ხედობასა ანუ აღვირ აღსნილობას, სავსე პატივისცემით, როგორც თავის თავისა, ისე სხვათა მიმართ,—ნიშნობლივი თვისებაა ქართველთა ერისა, ის თვისება, რომელიც ვერ შემუსრა და ვერ წარხოცა ფეხთა-მტვერობამ მთავრობისა თუ ფულის ძლიერების წინაშე, რაიცა არის უმთავრესი არსება და აზრი სამაჰმადიანო სახელმწიფოების ცხოვრებისა. დასასრულ, საქართველოს სუსტმა კულტურამ ბოლოსა და ბოლოს მაინც შესძლო და შეირჩინა არა თუ თვისი სარწმუნოება, არამედ თვისი ეროვნული განცალკევება, თვისი საკუთარი ვინაობა მაშინ, როდესაც ძველთა სპარსთა ძლიერმა კულტურამ ვერ მოახერხა და ვერ ჰპოვა ისლამში ძალი და ღონე თვისის ათასის წლობით შემუშავებულ ეროვნულ ხასიათის დასაცველად.

ეს კულტურული ბრძოლა საქართველოსი ქრისტეანულის კაცთ-მოყვარებისათვის, დედაკაცის თავისუფლებისათვის, ადამიანურის ღირსებისა და ეროვნებისათვის, ბრძოლა მით უმეტეს კეთილშობილური, რომ ყოველივე ის, რისთვისაც იბრძოდნენ, მუდამ შეგნებითა და ცნობიერებით არ იყო გაშუქებული, არამედ უფრო ინსტიქტურად იყო ძვირფასი ერის უმრავლესობისათვისაც და მის წინამძღვართათვისაც,—ეგ ბრძოლა ყოველთვის ერთის და იმავე გზით, ერთისა და იმავე ღონისძიებით არ სწარმოებდა. სწრაფად, ხანმოკლე თავისუფლების შემდეგ, მჩაგვრელ ისლამის უღლიდან განთავისუფლების უმალვე, დგებოდა საშინელი დრო შეუბრალებელის დამონებისა და სისხლის ღვრისა. ისლამი, როგორც მეხი, ისე დაეცემოდა ხოლმე ქვეყანას და სცემდა თავ-ზარსა. მამაკაცობას ჟლეტდნენ, ტყვედ ჰყიდნენ. აუარებელი სიმრავლე თუ სპარსთა, თუ ოსმალთა, თუ თათართა ურდოებისა, თუ არაბთა სძლევდა გმირობით აღსავსე ერთ მუჭა მებრძოლთ თავისუფლებისათვის. ჩამოვარდებოდა საზარელი მყუდროება აგარიანთა მძიმე მონობის უღელ-ქვეშ; გაბატონდებოდა სარწმუნოება მათი, ყოველს ნათელს მოკლებული, არავის და არაფრის შემწყნარებელი, გარეგან წესთა შესრულებაზედ დამყარებული, რომელიც გამთბარი არ არის არც სიყვარულით, არც მიტევებით, სავსეა ამა სოფლის სიამისა და სიხარულის უგულებელ-ყოფითა და მძულვარებით. ისე მოედებოდა ხოლმე, თითქო უდაბნოთა გავარვარებული ქვიშა მოეფინა საქართველოს აღყვავებულ მადლიანს ბუნებასაო. შესწყდებოდა ხმა სიმღერისა, ზარის რეკა ეკლესიებისა ზიზღსა ჰგვრიდა და აფთრებდა გარინდებით ფიქრს ჩვეულს გამარჯვებულებს, ჩადრ-მოუბურავი პირისახე ქართველ დედაკაცთა შეურაცხჰყოფდა მაჰმადიანთ ფარისევლობას, რომელმაც სიყვარული ხორცის დატკბობად გადააქცია, ოჯახი—ჰარამხანად, მხურვალე სიყვარული ღვთისა და მგზნებარე აფექქება სარწმუნოებისა—ფანატიკოსობად, ულმობელ წეს-ადათად და შიშით თრთოლად წინაშე მრისხანე ალლაჰისა.

მაგრამ ისლამი მარტოოდენ საძულველი არ იყო ქართველის ნათელ-მოსილ ბუნებისათვის: ისლამს ბევრი დიდებული თვისებაცა ჰქონდა, იყო ძლიერი და მრისხანე: მისმა ტალღებმა მოარიალა, მაშინდელ ქართველთა აზრით, მთლად ქვეყნიერობა. ერუსალემი და ბიზანტია—ეს ორი ბურჯი ქრისტიანობისა უკვე მის ხელთ იყო. მთანი კავკასიონისა—ისედაც მტერნი საქართველოს გაშლილ ხეობათა—ისლამს ემორჩილებოდა. საქართველო ერთი ფეხის გადგმა კუნძული-ღა იყო იმ ზღვაში, რომელიც ზედ ეხეთქებოდა მის კიდეებს და მზად იყო ზედ გადავარდნილიყო და შთაენთქა თავის ზვირთებში. ამ საშინელმა ძლიერებამ დაიმონა და შეჯაჭვა ფიცხი გონება იმ სამხრეთის მკვიდრთა, ვისიც მთელი ძალ-ღონე იყო არა ცნობიერი, არამედ ინსტიქტიური სიყვარული და ერთგულება სიმართლესი. და აი ჩნდება განდგომილება, ღალატი სარწმუნოებისა, მსახურება ძლევა მოსილ მტერთა წინაშე, ფეხთა-მტვერობა, გამყიდველობა, დავიწყება ყოველივე იმისი, რაც წინად თვით სიცოცხლეზედ უძვირფასესი იყო.

მაგრამ ერის ცნობიერების სიღრმეში, თვით უუსაშინელეს დამონების დროს, სცოცხლობდა სიმბოლო. ამ სიმბოლოში იყო მოთავსებული ის საკულტურო წმინდათა-წმინდა, რომელსაც ინსტიქტიურად იმარხავდა გულში საქართველო და არ ერიდებოდა იმისათვის არავითარ სისხლის ღვრას, თითქო იცის და ჰგრძნობს, რომ ადრე თუ გვიან, ეგ წმინდათა-წმინდა მტკიცედ შეუკავშირებს აზიელთა პატარა ხალხს მსოფლიოს დიდებულ ერსა და ქვეყნებს, და ბრძოლა მაგ წმინდათა-წმინდასათვის სამღვთოსა და ხელ-შეუვალ უფლებას მისცემს ისე შევიდეს მათს

გახდა, ამ ნაირი თხოვნით მიემართნა ბოქაულისათვის. ცოლმა დაინამუსა და მას შემდეგ, როცა უცხო კაცს დაინახავს, იმალება, არ წამიყვანონო და ანჩხლობა მოიშალა.

— პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში სტუდენტები აპირობენ შეადგინონ წრე შესასწავლად ძველ კლასიკურ ლიტერატურისა, ფილოსოფიის და ფილოლოგიისა. ამ აკადემიის სტუდენტობამვე ხელი მიჰყო სიმღერა-გალობის შესწავლასა.

— ვიტებსკა და მეზობელ გუბერნიებში გავრცელებულა ერთგვარი მწვალებლობა, რომელსაც მარტო დაბადება (ბიბლია) მიაჩნია სათაყვანებლად. საიდუმლო ნათლობას და სხვა ეკლესიურ წესებს თვით სექტის მიმდევარნი ასრულებენ. ეს სწავლა ერთობ გავრცელებულა ლოტრანგთა და ლატიშთა შორის, მაგრამ მართლმადიდებელნიც გაჰყოლიან ამავე სექტასა. ეს სწავლა გაუვრცელებია ხარაზს მარტინ ეისალნიკს და მის ძმას კარლსა.

— „ვარშავის დნევნიკში“ დაბეჭდილია: „ვარშავის უნივერსიტეტის კარებზე გამოკრულია განცხადება, ინსპექტორ შესტაკოვის ხელმოწერილი: „მაქვს პატივი ვაუწყო ბ. სტუდენტებს და თავისუფალ მსმენელთ, ლექციების კითხვა-მოსმენა 1 დეკემბრიდამ ამა წლისა, ვიდრე სამოსწავლო წლის მეორე ნახევრამდე, შეწყვეტილია“.

თვით უნივერსიტეტში-კი, რექტორის ხელმოწერილი განცხადებაა თურმე გამოკიდული:

„ამით ვაუწყებ ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტებ, რომ ლექციების მოსმენა, ოლქის მზრუნველის გადაწყვეტილებით, ხელმეორედ შეყენებულია 1 დეკემბრიდამ მომავალ სამოსწავლო წლის ნახევრამდე, ასე რომ რაც ეხლა დააკლდებათ არეულობისა გამო, შეემსებათ 1904 წ. მისში საგაზაფხულო სემესტრის დროსაო.

უცხოეთი

ჩინეთი საომრად ემზადება. უფრო საჩქარო და თვალ-საჩინო მოძრაობა სატახტო ქალაქსა და მის ახლო-მახლო ქვეყნებს ემჩნევა. ჯარი ყოველ დღე ვარჯიშობს. თოფ-ზარბაზნების სასყიდლად ახალი გარდასახადი უნდა შეაწერონ ჩინეთის ხალხს. მანჯურიაში ხუნხუზების რაზმები თანდათან მრავლდება. რამდენსამე ადგილს შეტაკებაც მოუხდათ რუსეთის ჯართან. ხუნხუზები რუსებს ქვეყნის მტრად აღიარებენ და წინააღმდეგობას უწევენ. ხალხი ჯერ მშვიდად არის, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, ომი მოხდებაო. მანჯურიაში ჩინეთს ჯერ მცირე ჯარი ჰყავს, რომელიც ყოველ დღე ვარჯიშობს. ჩინეთიდგან მოდიან სამხედრო სკოლებში სწავლა დამთავრებული აფიცრები და ჯარს ევროპიულს წესზედ სწვრთნიან. ამბობენ, აქა-იქ ჩინელებს ზარბაზნები აქვთ მიწაში ჩაფლული და საჭიროების დროს გამოიყენებენო. ჩინელები მანჯურიაში სახლდებიან, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ და იმ ადგილებზედაც, რომლებიც რუსეთს აქვს დათმობილი ხელშეკრულობის ძალით. მრავალი ღატაკი ჩინელი მიაწყდა ბოლოს დროს მანჯურიას. ერთის სიტყვით, ჩინელებს მანჯურიაში დიდი მოძრაობა ეტყობა. იაპონელებიც მუდამ მოგზაურობენ რკინის გზით მანჯურიაში, ყველაფერს აკვირდებიან, სინჯავენ და რაღასაც არიგებენ. მრავლად არიან იაპონელები კვანტუნში, მუკდენსა, ილკონს და სხვა ქალაქებში.

იაპონია ცხარედ შესდგომია მზადებას საომრად რუსეთთან. დიდი ყურადღება მიუქცევია ნავთსადგურისათვის კუნძულ ცუსიმაზე რომელიც სადარაჯოდ გადიქცევა თურმე. ნავთსადგურში ფლოტი ისე დაიმალება, რომ მტერი ვერას დააკლებს, თვითონ-კი არც ერთს გემს არ გაატარებს პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკს შორის. ამნაირად რუსეთის ფლოტი უნდა მოემწყვდეს რომელსამე ნავთსადგურში და საჭირო ადგილს თავის დროზედ ველარ მივა. ამ ფლოტს არ შეუძლიან დაიცას ვლადივოსტოკი და ზღვის ნაპირი კორეაშიო. იაპონელები იმასაცა ჰფიქრობენ, იქმნება რუსეთის ფლოტი იაპონიის რომელსამე კუნძულს მიადგეს და ჯარი გადასხასო, იმიტომ მაინც რომ იაპონიის ყურადღება იმ ადგილებს ააცილოს, სადაც უფრო სუსტი იქმნება რუსეთის მხედრობა. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ აშინებთ იაპონელებს, რადგან კუნძულების ნაპირები ისე გაამაგრა თურმე, რომ მტერი ვერას გზით ვერ მიეკარება. გარშემო ორკეცად შორს მსროლი ზარბაზნები დაუმწკრივებია. კუნძულთა შორის გემების მიმოსვლას რუსეთი ხელს ვერ შეუშლისო.

ინგლისი. ტოკიოდგან ისეთი ცნობები მიდის ბოლოს დროს ინგლისში, რომ პოლიტიკოსებს ომი აუცილებლად მიაჩნიათ. ინგლისის თოფხანები დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობენ. ასეთივე გაცხარებული მუშაობა ნავთსადგურებზეა. საჯავშნო გემებისათვის მადნებიდგან დიდძალ ქვა-ნახშირს ეზიდებიან.

გერმანია. გერმანიის იმპერატორმა თავის უფროს შვილის, მემკვიდრე პრინცს ცხარე საყვედური გამოუცხადა თურმე იმის გამო, რომ თეატრში ისეთ პიესის წარმოდგენას დასწრებია, რომელშიაც ეხლანდელის მილიტარიზმის საწინააღმდეგო აზრია გატარებული. სამხედრო უწყების წარმომადგენლები მეტად აულაპარაკებია ამ ამბავს. პრინცის ადიუტანტი, რომელიც თეატრში ახლდა, იმპერატორს სამის დღით დაუპატიმრებია, რატომ პრინცს შეუფერებელი საქციელი არ დაუშალეო.

ტრანსვალი. ბურების დამარცხების შემდეგ ინგლისმა განიზრახა თავისებურად მოეწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები და მრავალი ინგლისელი გადაასახლა. გეგმა შეიმუშავა ახალ წეს-რიგისა, დიდძალი ფული გადასდო, მოხელეებად ინგლისელები გაამწესა, პოლიცია გააძლიერა და ინსტრუქციები გასცა. ამასთანავე ჯარის-კაცებიც უნდა მოეხმარა მშვიდობიანობის დროს სხვა-და-სხვა საქმეში. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ქაღალდზედ შესრულდა, ნამდვილად-კი ბურების ქვეყნის მოწყობას მრავალ-გვარი დაბრკოლება აქვს. ეხლა თვით გადასახლებული ინგლისელები იმდურებიან, ტყუილად გადმოგვასახლეს, ჩვენ აქ ვერას გავაწყობთო. ჯარის კაცებმა, რომლებიც სოფლად დაასახლეს, მიატოვეს მინდორ-ველი და ქალაქებში გადასახლდნენ, რომ უფრო ადვილას შრომით იცხოვრონ. ინგლისიდგან გავზავნილი ქალები იმ განზრახვით, რომ ინგლისელებსვე შეერთოთ, გარყვნილებას მიეცნენ ქალაქებში. დიდმა პოლიციამ ნახევარი მთელის წლის შემოსავლისა უკვე მოიხმარა. მეორე ნახევარი კიდევ კანცელარიებს მოუნდა. ყოველი გადასახლებული მუშა კაცი მოვალე იყო დღეში 5 შილინგად ემუშავნა მადნებზე, მაგრამ ეს არ მოხერხდა. გადასახლებულები იმ ფასს თხოულობენ, რასაც წინად რესპუბლიკები აძლევდნენ, და გაიფიცნენ კიდეც. ეხლა ინგლისის მართებლობა იმას-კი აღარა ჰფიქრობს, როგორ გააინგლისოს დაპყრობილი ქვეყნები, არამედ—იშოვოს მუშები მადნებისათვის. მადნებია სიმდიდრე ამ ქვეყნებისა და, თუ მუშაობა შეჩერდა, უნაყოფო ხარჯის მეტი არავითარი გამოსავალი არ ექმნება ინგლისს. ევროპიელი მუშები-კი არ გვინდა, რომელნიც თვითმართველობას არიან მიჩვეულნიო,—ამბობენ ზოგნი ინგლისელნი, არამედ ყურმოჭრილი, მონობაში აღზრდილი აზიის ხალხი გვირჩევნიაო. განზრახვა აქვთ ჩინეთიდან გაიწვიონ მუშები, რადგან ჩინელები ძალიან ამტანნიც არიან და მცირე ფასსაცა სჯერდებიანო.

წერილები
რედაქციის მიმართ
I

გთხოვთ, თქვენ პატივცემულ გაზეთში დაუთმოთ ადგილი ამ მცირე წერილს.—«ივერიის» 250 №-ში დაბეჭდილ დეპეშაში ს. კნოდევიდან; ავტორი ეხება ჩემ მიერ გამორთულ ფასიან წვეულებას და კითხვას ეძლევა: „რა იქნა? რა რა იქნა?! ფულები? ყველ ხარჯის გარეთ დარჩა და ჩვენთან არის ოცდა ცამეტი მანეთი და 15 კაპ. (33 მან. 15 კ.). რადგანაც ეს ფული საჰკითხველოსთვის იყო და მისი დაარსება ეგრე ადვილი არ გახლავთ, როგორც ჰგონია „შურდულს“, და მთავრობის ნებართვაც საჭიროა, და ნების აღება-კი აგრე ადვილი არ არის.

ნინო ვასილის ასული, თამარა გიორგის ასული, ოლღა ივანეს ასული და საშიკო დავითის ძე ფალავანდიშვილები.

II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამცნოთ პატივცემულ საზოგადოებას შემდეგი შემთხვევა, რომელიც ასე საგსებით ახასიათებს ჩვენის რკინის გზების მოუწყობლობას.

12-ს ამ ქრისტიშობის თვეს სახალხო მატარებელი, რომელიც მოდიოდა ერევნიდგან ტფილისს, კარაკლისისა და შაგალის სტანციებ შორის, ძლივს ასცდა კატასტროფას.

ტორმაზი ანუ შესაჩერებელი მანქანა ორთქლმავალზედ აღმოჩნდა სრულიად უვარგისი, რის გამო მატარებელი ვერ შეაჩერეს და დაღმართზედ მირბოდა აუწერელი სისწრაფით ორთქლ-მავალის საზარელის შტვენა კივილით.

იმავე თავსატეხის სისწრაფით გაიარბინეთ ხიდი, ის საშიში ხიდი, რომელზედაც სხვა დროს მატარებელი გაივლის ხოლმე საათში მხოლოდ 5 ვერსტს და ისიც ტეხნიკის წინამძღოლობით.

რადგან განგებას უნდა მივაწეროთ ანუ ჩვენს განსაკუთრებულს ბედ—იღბალს, რომ მატარებელი, რომელიც შესდგებოდა 18 ვაგონისაგან არ ასცდა ლიანდაგს და ბედნიერათ გადავრჩით განსაცდელს.

მადლობელნი უნდა ვიყვნეთ მხოლოდ მატარებლის მაშინისტისა, აგრეთვე შემთხვევით იქ მყოფ მეორე მაშინისტისა გ. ი. ბაქრაძისა და კიდევ კონდუქტორებისა, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ შეეჩერებინათ ელვასავით მიმსრბოლი მატარებელი. როგორც იყო შაგალის სტანციის იქით მატარებელი შეაჩერეს, გამოუცვალეს ორთქლმავალი და გაუდექით გზას.

მიზეზი მოსალოდნელის უბედურებისა, როგორც ზემოთ ვსთქვით, იყო უქონლობა რიგიანის შესაჩერებელ მანქანისა ორთქლმავალზედ და ზოგიერთ ვაგონებში, რაც ეწინააღმდეგება ტეხნიკის წესს.

ნაფიცის ვექილის თანაშემწე ა. ი. ყანჩელი

თეატრი და ხელოვნება

ალაგირი (ოსეთი). 7 დეკემბერს ალაგირის ქართულის სკოლის მასწავლებლის ბ-ნ გ. რაზმაძის თაოსნობით გაიმართა წელს მეორედ, ხსენებულის სკოლის დარბაზში, ქართული სალიტერატურო საღამო, რომელიც შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. განყოფილებებში მოთავსებული იყო: ქართულ-რუსული ლექსები, სიმღერები და სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. ლექსებს კითხულობდნენ ხსენებულ სკოლის მოწაფენი და მღეროდნენ ბ-ნ გ. რაზმაძის ლოტბარობით. საღამომ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო; გარდა ადგილობრივი ქართველებისა იყვნენ რუსები და ოსებიც. სკოლის დარბაზი ისე იყო გატენილი ხალხით, რომ ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. სივიწროვის გამო ზოგნი გარედან უგდებდნენ ყურსა, ზოგნი უადგილობის გამო უკანვე დაბრუნდნენ. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა და მადლობა გადუხადა მასწავლებელს შრომისთვის. მადლობის ღირსია ბ-ნი გ. რაზმაძე, რომელმაც სერიოზულად მოჰკიდა ხელი ალაგირის ქართულის სკოლის საქმეს და სცდილობს მის სასურველ ნიადაგზე დამყარებას.

იმედია, უნაყოფოდ არ ჩაივლის მისი შრომა, თუ აქაური ქართველობა მხარს მისცემს მას და ერთმანეთის თანხმობით იმოქმედებენ სკოლის საკეთილდღეოდ.

უმნიშვნელო არ არის ალაგირის ქართველებისთვის ესეთი საღამოების მართვა: ისინი აღტაცებით შეჰყურებდნენ თავიანთ პატარა შვილებს, როდესაც ის უკანასკნელნი მშვენივრად ამბობდნენ ქართულ სიმღერებს და კითხულობდნენ ლექსებს. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ უფრო შეიყვარებენ ალაგირელი ქართველები სკოლას და შეიგნებენ მის აუცილებელ საჭიროებას.

პეტრე მეტრეველი.

„ივერიის“ ფოსტა.

ს. ახოს. ვ. ჯ—ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 დეკემბერი

რომი. რადგან მოსალოდნელია, რუსეთსა და იაპონიას შორის უთანხმოება მოხდეს, იტალიის მთავრობამ უბრძანა კრეისერს „პიზანი“-ს ნაგასაკში დარჩიო.

რომი. ელჩი თავადი ურუსოვი მოვიდა.

ხარკოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, გადესდოთ ათას-ათასი მანეთი ოთხ პროცენტიან სასოფლო საკრედიტო ამხანაგობათა დასაარსებლად და ათას-ათასი მანეთი ყოველ წლივ მაზრებში რიგ-რიგობით სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გასამართავად.

მოსკოვი. მოხდა პირველი სხდომა რუსეთის ურთიერთ კავშირის დამაარსე-

---

კრებულში, როგორც თანასწორი, როგორც ტოლი და ამხანაგი. ეს სიმბოლო იყო ჯვარი.—და აი ეს ჯვარი შეინახა უმთავრესად ქართველმა დედაკაცმა. კვლავ გავიმეორებ, შეინახა თითქო ინსტიქტიურადაო, მაგრამ ნამდვილად-კი სრულის შეგნებით ესმოდა, რომ იგია მისი ხსნა, მისი თავისუფლება. საქართველოს ყოფაცხოვრების ყველა ისტორიკოსნი და მკვლევარნი ერთხმად ამოწმებენ, რომ ქართველმა დედაკაცმა დაიცვა სწავლა-განათლება საქართველოსი და რომ მისი როლი და მნიშვნელობა ფრიად დიდია ამ საქმეში. დედაკაცნი ზეპირადა სწავლობდნენ სამღვთო წერილსა, ლოცვებსა, ქართველ მწერალთა პოეტურ თხზულებათა. თითქმის ყველამ იცოდა წერა-კითხვა და თითოეული ასწავლიდა პატარა ქალებს, თავისასაცა და სხვებისასაც. დედაკაცნივე ამზადებდნენ თავიანთ შვილებს საბრძოლველად თვისის სამღვთო სიმბოლოსათვის, რადგან ამ სიმბოლოზე იყო დამყარებული ყოველივე მათი სასოება, ყოველივე იმედი ჰარამხანის მხევალის მდგომარეობისაგან განთავისუფლებისა, ოჯახის დადგენისა ისე, რომ მის სახელისა და პატიოსნების დამცველად ყოფილიყო თვით დედაკაცი და არა ხოჯა, ან საჭურისი, დედა-კაცი მოუბურველის პირის სახითა და არა რიდებურვილი, სიცოცხლითვე დამარხული.

და აი დარბევისა და მოოხრების შემდეგ, მაჰმადიანობის უღელ ქვეშ, როცა ჩამოვარდებოდა ბატონობა გამცემელთა, განდგომილთა, ხოჯა-საჭურისთა, დიდთა და პატარა მტარვალთა, შემკრთალ-შეშინებულ მონათა შორის, საშინელსა და აუწერელს სიღატაკეში დაიწყებოდა შემოქმედებითი გამრჯელობა ქართველის დედაკაცისა. დედაკაცნი ამზადებდნენ შვილებს განთავისუფლების ღვაწლისათვის. უმღეროდნენ მშობელ ქვეყნის სიმღერას, უამბობდნენ, რა ღვაწლი შეიმოსეს და რა გმირულად გასწირეს თავი მათმა მამა-პაპამ, სწერდნენ პირჯვარს და ყოველს ამას იქმოდნენ მორიდებითა და მოკრძალებით, არავინ-რა გაიგონოს, არავინ-რა დაინახოს, თორემ სიკვდილი და წამება არ აგვცდება, არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს შვილებსაცაო. ხოლო ეს შვილები მარტო სისხლი და ხორცი-კი არ იყო მათი, არამედ სულიც იყო, იმედი და სასოება იყო მომავლისა. ასეთნი დედაკაცნი ამზადებდნენ კაცებს. სხვანი ამზადებდნენ თვით საქმეს, ამზადებდნენ ასევე ხანგრძლივ, ასევე ფრთხილად, ყოველს წუთს შიშ-ქვეშ მყოფნი, რომ აი გაგვიგებენ, შეგვიტყობენ და ამდენის ხნის ამაგი, წლობით მოგვარებული საქმე ერთის ხელის გაქნევით წახდება, ჩაიშლებაო. ამისთანების როლი ბევრად უფრო ძნელი იყო და რთული. ესენი იყვნენ ის დედაკაცნი, რომელნიც ჰარამხანაში მოჰყოლოდნენ, სხვის საამებლად და ხორცის დამატკბობლად იყვნენ დანიშნულნი, თითქო სასუქი წვრილ ფეხიო. არამც თუ არავითარი უფლებანი, არამედ არავითარი მოვალეობაც არა ჰქონდათ, იმის მეტი, რომ თავიანთ ბატონ-მფლობელის ქვენა გულის თქმანი უნდა დაეკმაყოფილებინათ, თუ ამისთანა ყოფაში ჩავარდებოდა, რაც ძალიან ხშირად მოჰხდებოდა ხოლმე, ზემორე აღნიშნულის ტიპის დედაკაცი, მისი მდგომარეობა საშინელება იყო: მთელი ჰარამხანა ყოველის თვისის წვლილით აუტანელს ტანჯვას აყენებდა მის სულიერს არსებასა. ასეთ გარემოებაში ჩავარდნილისათვის საბრძოლველად საჭირო იყო, არა მარტო გამბედაობა და თავ-განწირულობა, არამედ მეტად ბევრის დათმობაც ზნეობრივად. თვისის სამღვთო წადილის შესასრულებლად, მეტი ღონე არ იყო, უნდა მოეთმინა დამცირება, თვისის სახელისა, პატიოსნებისა და ადამიანურის ღირსების შელახვა და ფეხ-ქვეშ გაქელვა. ცხადია, რომ ყოველსავე ამას კვალ-დაუტოვებელი არ გადურჩებოდა მისი სულიერი არსება. მესამე ტიპის დედაკაცნი იყვნენ წამებულნი, მოწამეობრივის გვირგვინით შემოსილნი. მათი რიცხვი აუარებელი იყო. ცნობაა დარჩენილი, რომ 1226 წელს 50,000 დედაკაცი აწამა სარწმუნოებისათვის ხორასნის სულთანმა ჯალალ-ედინმა.—ესენი ამზადებდნენ სულს ერისას, ისე როგორც პირველნი ამზადებდნენ კაცებს, ხოლო მეორენი—საქმეს.

ამ სახით, საზოგადო ტიპი ქართველთა მრავალ-საუკუნოვანის ბრძოლისა ჯვარისათვის როგორც სატრფიალო კულტურულ მისწრაფებათა განხორციელებულ სიმბოლოსათვის, ასეთი იყო: მხედარნი და მებრძოლნი ამოსწყდებოდნენ ქვეყნის მოოხრების დროს, გადიხვეწებოდნენ, დაჰმორჩილდებოდნენ მტერს, ქვეყანა დაიჩაგრებოდა, გული გაუტყდებოდა, დაეცემოდა სულით. ამ დროს დედაკაცი იწყებდა თვის შემოქმედობითს მუშაობას, შვილივით გულში ატარებდა და ზრდიდა მომავალს ხანგრძლივის მზრუნველობით, სიყვარულით, თითქო ის ჭურჭელია, რომელშიაც დაცულია უმაღლესი მადლიო.

მაგრამ როგორც სამშობლოსათვის მებრძოლ მამაკაცთა საწინააღმდეგოდ გამოჰყავდა ისლამს თვისნი მხედარნი, მამაკაცნი და ძლევა-მოსილნი, რომელთაც, მართალია, ბევრი ნაკლულევანება ჰქონდათ, მაგრამ მაინც მოჭხიბლველნი იყვნენ თვისის ძალ-ღონითა და დიდებით, ისე დედაკაცთა საწინააღმდეგოდ ისლამმა შეიმუშავა ჰარამხანაში და გამოიყვანა თვისი დედაკაცი, ბევრად ნაკლების სიწმინდისა, მაგრამ არა ნაკლებ ძლიერი. მართალია, ძალი მისი ისეთი იყო, რომ დიდის ხნის გამარჯვებას ვერ მიანიჭებდა, რადგან სულიერი არ იყო, არამედ ნივთიერის ხასიათისა; მაგრამ მაინც ეგ ის ძალი იყო გრძნობა-ფუფუნებისა და მშვენიერებისა, რომელსაც ისტორია მარტო ოდენ ისლამში არ უწევდა ანგარიშს. ჰარამხანამ ეგ ტიპი ღვარძნილობისა და ხორცის დატკბობისათვის გაჩენილის დედაკაცისა განავითარა უუმაღლეს ხარისხამდე. დიდის მოხერხებითა და თანდათანობით მოსპო და გაანადგურა მაჰმადიანობამ ჰარამხანის დედაკაცთა შორის ყოველივე უმაღლესი ზნეობრივი ღირსება, ხელის შემშლელი ღვარძნილობისა და ბოროტებისა, და სამაგიეროდ აღჭურვა დიდის უძლეველობით, რათა გამეფებულიყო ყველგან, საცა-კი საფლობელოა გრძნობა-ფუფუნებისა. როგორც ქვენა-ხასიათისაა ღონისძიებანი, ისევე ქვენა-ხასიათისაა ის, რაცა აქვს დავალებული ჰარამხანის დედაკაცს.

გარნა დავალებულის შესასრულებლად იგი ნაკლებ გულ-მტკიცე და შეიარაღებული არ იყო, ვიდრე დედაკაცნი უმაღლესის კულტურისა და მაღალის ზნეობისა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ინსტიქტიური ქიშპობა ამ ორ-გვარის კულტურის დედაკაცთა შორის შეურიგებელ მძულვარებამდე მიაღწევდა ხოლმე მაშინ, როცა საქმეთა მსვლელობა შეაჯახებდა ბრძოლაში, როგორც ასე ხშირად იყო ეს ამბავი საქართველოსა და ისლამის დაუსრულებელ ბრძოლის დროს.

ჩემს პიესაში, რასაკვირველია, დიდად გამიტაცა ამ სხვა-და-სხვაობითა და ფერადებით მდიდარმა აღმოსავლეთის ქვეყანამ. მინდოდა, შეძლებისა და გვარად, გამეცნო რუსთათვის ნიშნობლივი თვისებანი და საზოგადო ხასიათი ქართველთა ერის ისტორიულის ბედისა. ამიტომ გადავსწყვიტე, რაკი ასეთია ჩემი წადილი, არ შევიბორკავ თავს ერთის რომლისამე სასტიკად და მტკიცედ განსაზღვრულ ისტორიულის ხანათი მეთქი. ეგ ხანა, აუცილებელია თავის დროებითს ხასიათს დააჩნევდა დასასურათებელ ადამიანთა და ამბავთა და მეც ხელ-ფეხს შემიკრავდა თვისის განსაზღვრულობით. ამ მიზეზით, არაკი დრამისა და მომქმედთა სახელები მე თვითონ მოვიგონე, ისტორიული ხანა გარკვევით არ ავღნიშნე, არ განვსაზღვრე. ამ მხრივ „ღალატს“ უეჭველი ისტორიული სინამდვილე აკლია. ხოლო აზრი და არსება პიესის ამბავთა, ხასიათები და ფსიხოლოგია მომქმედთა, რომელნიც ასურათებენ ტიპიურსა და ერის აზრ-მოსილ მისწრაფება-წადილსა, დასასრულ, ზოგადი სული და ხასიათი საქართველოს ისტორიისა იყო საგანი ჩემის განსაკუთრებულის ყურადღებისა და სიფრთხილით შემუშავებისა. არა ვმალავ ჩემის პიესის ნაკლულევანებას, მაგრამ მაინც ვგონებ, რომ არსად და არაფრით არ ავცდენილვარ ისტორიულს შინაგანს სიმართლეს; ამ სიმართლეს, ჩემის აზრით, ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გარეგანს ქრონოლოგიურს და ფაქტიურს სინამდვილეს, მეტადრე იმისთანა თხზულებაბაში, რომელიც სამეცნიერო ხასიათს არ ჩემულობს.

(შემდეგი იქნება).

გრ. ყიფშიძე.

ბელთა. სხდომაზე გამოცხადდა 86 კაცი, რომლებსაც 768 ხმა აქვთ. კავშირს აზრადა აქვს, დამზღვევ საზოგადოებათაგან განთავისუფლდეს. აზრად აქვთ აგრეთვე, შემოიღონ უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა.

ვორონეჟი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ, რომ ის ღონისძიებანი, რომელნიც გუბერნიის სასოფლო სამეურნეო საქმის მოწყობას შეეხება, განსახილველად საგუბერნიო საერობო კრებას გადაეცეს.

კურსკი. საგუბერნიო საერობო კრებამ ერთხმად დაადგინა: ვიშუამდგომლოთ საშუალო სკოლათა რეფორმების შესახებ, რომ სკოლა ერთგვარი იყოს, საზოგადო განათლების პროგრამით დაკავშირებული უმაღლესსა და დაბალ სასწავლებელთან.

ეკატერინოსლავი. სოფელ პეტროვკის მახლობლად მოგლეჯილმა ყინულმა ზღვაში გაიტაცა ასზე მეტი მეთევზე.

ვიატკა. დილით ვოტკინსკში ცეცხლი გაჩენია ორს ნავთის აუზს, რომელშიაც 67 ათასი ფუთი ნავთი ყოფილა. ზარალი 300 ათას მანეთს უდრის. ექვსი მუშა დაიწვა, რვა კაცი მძიმედ დაშავდა.

ტოკიო. „ორიან გეზელშაფტ"-ში გამართულ სადილზე გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფმა კატომ მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ მთავრობა ის არ აგებინებს საქმეთა მდგომარეობას. თუ იმპერატორი ომს გამოაცხადებს, მთელი ერი ერთის სულითა და გულით მხარს დაუჭერს თავის ხელმწიფეს. სრულიად დაეთანხმა ორატორის აზრსა მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი ოკუმა და სთქვა: არა რაინდული გრძნობა, არამედ გრძნობა თავის დაცვისა თხოულობს, რომ იაპონიამ ჩინეთის ხელშეუხებლობა დაიცვას. ორივე ორატორმა შენიშნა, რომ დღევანდელი მდგომარეობა უმაღლეს ხარისხამდე კრიტიკულიაო.

14 დეკემბერი.

ტოკიო. კორეის ნავთ-სადგურებიდან მივიღეთ არასასურველი ცნობები. იქ სრული ანარქიაა გამეფებული. სამხედრო ნავთ-სადგურებში დიდ სამზადისში არიან, აპირობენ ჯარის გაგზავნას ფუსანსა, მოზამპოსა და ჩემულპოში მშვიდობიანობის აღსადგენად.

იაპონიის მთავრობამ თავის ელჩს პეტერბურგში გაუგზავნა რუსეთის წინადადების პასუხი. პასუხი ისეთის მეგობრულის კილოთია დაწერილი, რომ შესაძლებელია ხელ-ახალი მოლაპარაკების დაწყება.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). მოვიდა ინჟენერი კრაპივინი, რომელმაც თან მოიტანა პლევნას მუზეუმისათვის ხელმწიფე-იმპერატორის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი. საჩუქარმა მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ვარნაში მოსულმა რუსეთის სამხედრო გემმა საჩუქართან ერთად მოიტანა რუსეთ-ოსმალეთის ომიანობის დროინდელი ზარბაზნები და იარაღები, გამოგზავნილი რუსეთის მთავრობის მიერ ამავე მუზეუმისათვის.

სოფია. („კორესპონდენტ ბიურო")

„ბულგარიის სააგენტო" უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომ ათანაზოვს ანუ სარაფოვს ბოლგარიის ტერიტორიაზე მიეტანოთ სამხედრო სურსათი და დინამიტის ყუმბარები, აგრეთვე იმ ცნობას, ვითომ ინგლისისა, იტალიისა და საფრანგეთის ქვეშევრდომნი აჯანყებულთა რიცხვში ეწერებოდნენ.

რომი. ცანარდელი გარდაიცვალა.— იტალიასა და ინგლისს შუა დაიდება ხელშეკრულობა სამედიატორო წესით საქმის გადაწყვეტის შესახებ.

პეტერბურგი. დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკს სენატორს ესიპოვიჩს უმაღლეს რესკრიპტთან ერთად ებოძა ორდენი ანდრია პირველ-წოდებულისა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ,,რუსკოე სლოვო''-ს ნომრობით გაყიდვის აკრძალვა ახსნა.

15 დეკემბერი.

ეკატერინოსლავი. საერობო კრებამ გადასწყვიტა დაარსოს მაზრების საბაქტერიოლოგიო კაბინეტები და ბეითლების კრებები მართოს.

სემიპალატინსკი. ნებადართულია გამოიცეს ,,სემიპალატინსკის ფურცელი".

კურსკი. გუბერნიის საერობო კრება შუამდგომლობს ამომრჩევლები გაიყვნენ მხოლოდ ქონებრივად და არა წოდებრივად, გაიყვნენ ხუთ ჯგუფად, რომლებიც დამოუკიდებლად უნდა ირჩევდნენ ხმოსნებს; ქალებს მიენიჭოთ უფლება არამც თუ ხმოსნების ამორჩევისა, არამედ საერო კრებაში მონაწილეობის მიღებისა; გლეხთა არჩევანები-კი შეუთანხმდეს 1864 წლის დებულებას.

ასხაბადი. ტურბეთ-ჰეიდარიდგან დეპეშით აცნობებენ „ზაკასპ. ობოზრ."-ს რომ იქ მალე ინგლისის საკონსულო დაარსდებაო. ტურბეთში ინგლისელები არ არიან, რომ საკონსულოს დაარსება იმათ ინტერესების დაცვისათვის იყოს საჭირო. უფრო იმისთვის უნდათ ეს საკონსულო, რომ თვალ-ყური ადევნოს რუსეთის მოქმედებას. ამავე აზრით ინგლისელები აარსებენ ამბულატორიას წინააღმდეგ რუსეთის სამკურნალო დაწესებულებისა, რომელმაც ხალხის სახელი გაითქვა.

პერმი. გუბერნიის საერობო კრებამ გადასდო სკოლების შენობების ასაგებად 150,000 მანათი და ძველის შენობების შესაკეთებლად 50,000 მან.; სკოლას გარეშე საერო განათლების საქმეს მოახმაროს ალექსანდრე მესამის სახელზე შეგროვილი თანხა 120,000 მანათი და სარგებელი 25,000 მან. დასაარსებლად 120 წიგნთ-საცავისა.

ფრანკფურტი. ბაზელსა და მის მიდამოში მსუბუქი მიწის-ძვრა იყო.

რომი. მინისტრთა კრებამ დაადგინა, ცანარდელლი დაიმარხოს სახელმწიფოს ხარჯით და დასაფლავებამდე მართებლობის ყველა დაწესებულებამ შავი ბაირაღი ამართოს.

ვორონეჟი. საგუბერნიო საერობო კრებამ გადასწყვიტა მოიწვიოს საცდელად მასწავლებელნი, რომელნიც, აქეთ-იქით ივლიან და კვირა-საღამოობით კურსებს გამართავენ.

ოდესსა. რუსეთის საზოგადოების ორთქლ-მავალი გემი „აზოვი", ბოსფორზე რომ მოდიოდა ოსმალურ კამპანიის გემს „მეკკა"-ს დაეჯახა, და დაშავდა. მგზავრნი და მეზღვაურნი გადარჩნენ. ზოგი საქონელი დასველებულა.

პარიჟი. გარეშე საქმეთა სამინისტროს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სენატში, დელკასემ თავისი პოლიტიკა დაახასიათა და ამტკიცებდა, რუსეთსა და ავსტრიას ნება აქვთ ჩაერიონ ოსმალეთის საქმეში ბალკანეთის კუნძულზედ მშვიდობიანობის დასამყარებლადაო. დელკასე შეეხო ევროპის სახელმწიფოთა საკავშიროებად დაყოფას და სთქვა, ნაციონალურ ინტერესების იდეალს და ურთიერთ თანაგრძნობას ისე არც ერთი კავშირი არ ეთანხმება, როგორც ერთობა რუსეთისა და საფრანგეთისაო. ეს თავის დროს თვით ბისმარკმაც-კი აღიარაო. ორატორი დიდად აფასებს ამ კავშირს, რაგან ის აერთებს ჯარს, ფლოტსა და ნაციონალურ კაპიტალსაო.

პეტერბურგის ბირჟა 12 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	95⅛ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	445 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	286 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. სადგ მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ფლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკტომბრამდე იღება საათზედა იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკტომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

,,ლევან ბატონიშვილი'' თხზ. თ. ხუსკივაძისა, ფ. 10 კაპ.

2. ,,ჟანეტა'' თარ. ა. ი. ნიკოლაძისა, ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კანტორიდამ (ქ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემბრიდამ 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30 პროცენტი დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა I და II ნაწ. ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) ,,ს. ქართველოს ისტორია'' ბარათაშვილისა I და II ნაწ. და დ) თხზ. გრ. აბაშიძისა—40% დაკლებით.

იბეჭდება და მალე გამოვა გიორგი წერეთლის თხზ. III ტომი.

10—6—5

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an das
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—32)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-უგურულში

დაიწყო გაყიდვა დამყნილ დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე ვაზის რქები საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისათვის მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისათვის. სანერგეში 700 სხვა-და სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ.

შემთხვევით გვაქვს 20,000 ორი წლის ნამყენი რუპესტრისზე „Cattaratu" კატარატუ, ჯიში, რომელიც იძლევა შესანიშნავ ღვინოს «მარსალას».

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისათვის:
В. Тьебо, Кутаисъ.

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების" № 63.
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

მსწრაფლ მბეჭდავი
სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

Открыта подписка на *1904* годъ
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ
„Живописное Обозрѣніе"

Администрація по дѣламъ Д-ра Мед. В. И. Рамма, приведя въ порядокъ его обширное издательское и типографское дѣло, начинаетъ свою дѣятельность съ 1-го января 1904 г. изданіемъ журнала «ЖИВОПИСНОЕ ОБОЗРѢНІЕ».

Новая редакція журнала, озабочиваясь привлеченіемъ къ ближайшему участію въ ея дѣятельности лучшихъ литературныхъ и художественныхъ силъ, тѣмъ не менѣе не желаетъ прибѣгнуть къ обычной рекламѣ и обѣщаніямъ, полагая; что само изданіе журнала привлечетъ вниманіе читателей, если оно того будетъ заслуживать.

Въ теченіе 1904 г. каждый подписчикъ получитъ:

52 №№ Художественнаго журнала. Снимки съ картинъ выдающихся русскихъ и иностранныхъ художниковъ.—Выставки въ Россіи и за границей.—Романы. повѣсти, разсказы и стихотвор.

52 №№ журнала „Польза и Развлеченіе" Популярныя статьи по всѣмъ вопросамъ знанія.—Хроника новѣйшихъ открытій и изобрѣтеній. — Игры и забавы дома и на воздухѣ.—шутки, шарады, ребусы, задачи и загадки.

12 вып. журн. Моды. Хроника модъ. Письма изъ Парижа, Вѣны, Лондона, Моды дамскія и дѣтскія.

52 №№ журнала „Иллюстрированная Недѣля". —Событія недѣли въ Россіи и заграницей въ статьяхъ и въ рис. фельетоны: Столичные этюды. Провинц. мелодіи. За рубежомъ. Юбилеи. Некрол.

12 №№ ежемѣс. книгъ литературнаго, политическаго и общественнаго журнала Болѣе 2000 страницъ текста. Обозрѣніе литературное, иностранное, внутреннее экономическое, научное.--Воспоминанія и путешествіе.—Большіе романы и повѣсти.

12 вып. выкройки и выпилованія по новѣйшимъ образцамъ русскихъ и иностран. авторовъ.

52 КНИЖКИ полнаго иллюстр. собранія романовъ
ЗНАМЕНИТАГО АНГЛИССКАГО ЮМОРИСТА.
„ЧАРЛЬЗА ДИККЕНСА"
до 6000 страницъ текста. Болѣе 200 иллюстрацій.

ВСѢ внесшіе подписныя ДЕНЬГИ на 1903 г. получатъ въ размѣрѣ своего взноса журналъ и всѣ приложенія въ 1904 г. БЕЗПЛАТНО. Приложеніе въ 1903 г. на пересылку „Третьяковской галлерей" ПОЛУЧАТЪ эту галлерею БЕЗПЛАТНО по внесеніи полной подписной суммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годъ съ доставкой и пересылкой 8 р.

Допускается разсрочка: при подпискѣ 3 р. къ 1-му апрѣля 3 р. и къ 1-му іюля 2 р. или первые 9 мѣсяцевъ по 1 р.

Подписка приним. въ Главной Конторѣ "ЖИВОПИСНАГО ОБОЗРѢНІЯ"
С.-Петербургъ, Невскій, 90.

Редакторъ *А. П. Несторъ.* Предсѣдатель Администраціи Пр. Нов. *Д. Н. Бородинъ.*

Дозволено цензурою тифлис 15 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи

დროებით რედაქტორი ბ. ყიფიანი, გამომცემელი ხარაჯიშვილი.